საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

სალომე გველესიანის
მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	0	5
ქულათა ჯამი	83	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი : 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

სალომე გველესიანის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები სალომე გველესიანს ახასიათებენ როგორც გულისხმიერ, კორექტულ, გულწრფელ, გაწონასწორებულ და თავმდაბალ პიროვნებას. კოლეგები ხაზს უსვამენ სალომე გველესიანის საქმისადმი დამოკიდებულებას, გულმოდგინებასა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, სალომე გველესიანი პიროვნულად მტკიცე, პრინციპული, შეუვალი და ზეგავლენების მიმართ მედეგი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და საკუთარი პოზიციების დაცვის უნარი. საჯარო გასაუბრებაზე კანდიდატმა სამართლიანობის განმარტებისას ძირითად კრიტერიუმად კანონის წინაშე თანასწორობა, უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება დაასახელა.

სალომე გველესიანი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, სალომე გველესიანი კორექტული, გაწონასწორებული და თავდაჭერილი პიროვნებაა. კოლეგების შეფასებით, მას შეუძლია საკუთარი ემოციების მართვა, კოლეგების მოსმენა და საჭიროების შემთხვევაში, მათი აზრის გათვალისწინება. ამასთან, იგი არის კომუნიკაბელური, ორგანიზებული, დინჯი და თანმიმდევრული. ერთ-ერთი რეკომენდატორი სალომე გველესიანის სისუსტედ უთითებს საკუთარ თავში დაურწმუნებლობას, თუმცა კანდიდატმა საჯარო მოსმენისას განმარტა, რომ მისი განაცხადი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე უკვე მოწმობს, რომ ცდილობს აღნიშნული სისუსტის გამოსწორებას.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ სალომე გველესიანის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად არ ყოფილა წარმოდგენილი.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები სალომე გველესიანს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით მეგობრებსა და კოლეგებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

სალომე გველესიანი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: სალომე გველესიანმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კერძოდ, კანდიდატმა ისაუბრა

საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხზე, ქალთა უფლებების დაცვის მხრივ არსებულ საერთაშორისო ინსტუმენტებზე, დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან კანდიდატმა გაიხსენა საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა, რიგ შემთხვევებში პასუხები არ იყო დამაკმაყოფილებელი (მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების ხელშემწყობი საკონსტიტუციო გარანტიების შესახებ, უკიდურესი აუცილებლობისას დამდგარი ზიანის ანაზღაურების თავისებურებებზე, ასევე, სამოსამართლო ეთიკის საკითხებზე).

აღსანიშნავია, რომ სალომე გველესიანს სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია. თუმცა, კანდიდატი ამჟამად რუსთავის საქალაქო სასამართლოში ასრულებს მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის მწერალი თანაშემწის მოვალეობას. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის თანახმად, სალომე გველესიანს აქვს კარგი თეორიული ცოდნა როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართალში, რომელსაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. რეკომენდატორთა შეფასებით, კანდიდატი სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, იცნობს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე გველესიანს შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატმა სასამართლოში მაგისტრად მუშაობის პერიოდში, სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებისა და დამუშავებისას, გამოავლინა ლოგიკური და სხარტი სამართლებრივი დასაბუთების უნარი.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე: ღირსების არსსა და პირის უფლებაზე, სასამართლო წესით დაიცვას ღირსება. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგებზე, კონსტიტუციის პრეამბულის მნიშვნელობაზე. კანდიდატმა საინტერესოდ იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ნორმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სამართლებრივ

შეკითხვას კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი გასცა, მისი მსჯელობა და დასაბუთება რიგ შემთხვევებში იყო ზოგადი ხასიათის და არასიღრმისეული.

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი: სალომე გველესიანმა წარმოადგინა 1 სამართლებრივი ნაშრომი, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომი სახელწოდებით „სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება". კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ სალომე გველესიანი აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და სტრუქტურულად. კანდიდატი ფლობს აკადემიური წერის უნარ-ჩვევებს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე გველესიანის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონი არ გამორიცხავს მოსამართლეობის გამოცდილების არმქონე პირთათვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ განწესებას, მიმაჩნია, რომ სამაგისტრო ნაშრომი, თუნდაც უმაღლესი აკადემიური შეფასებით, არ არის საკმარისი კანდიდატის კომპეტენციისა და წერის უნარის შესამოწმებლად.

კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების უნარი. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის დინჯად მოსმენის, განსხვავებული აზრის მოსმენისა და გაზიარების უნარი, რასაც უთითებენ მისი რეკომენდატორებიც. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ, რასაც ადასტურებენ რეკომენდატორებიც. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით სალომე გველესიანს აქვს პრეზენტაციის კარგი უნარები.

პროფესიული თვისებები: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები სალომე გველესიანს ახასიათებენ როგორც გაწონასწორებულ, პუნქტუალურ, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ პიროვნებას. რეკომენდატორთა შეფასებით, სალომე გველესიანს შეუძლია დიდი რაოდენობის საქმის შემჭიდროვებულ ვადებში განხილვა. ერთ-ერთი რეკომენდატორის შეფასებით კანდიდატს აქვს გუნდური მუშაობის გამოცდილება, არის გადაწყვეტილებაუნარიანი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სალომე გველესიანმა გამოავლინა ორგანიზებულობის, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი და მზაობა მაღალი დატვირთულობისთვის. დამოუკიდებელი

საბჭოს თანახმად, კანდიდატი არის ორგანიზებული, თანმიმდევრული, სტრესის ამტანი, მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 10-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა ტრენინგები სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის, ეფექტიანი კომუნიკაციის შესახებ და სხვ.

სალომე გველესიანი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი (2019 წ.), მან იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-6 ადგილი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სალომე გველესიანი არ ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ან სხვა სახის პროფესიულ აქტივობას.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას აღნიშნა, რომ მისი სამუშაო გამოცდილება მხოლოდ სასამართლოს უკავშირდება. არასდროს ჰქონია საკანონმდებლო ინიციატივა, არ ყოფილა რაიმე ,,იურიდიული ორგანიზაციის ან კლუბის" წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. სალომე გველესიანი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 83 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 22 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 21 ქულა;
   2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 18 ქულა:
   2.4. პროფესიული თვისებები - 14 ქულა;
   2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 8 ქულა;
   2.6. პროფესიული აქტივობა - 0 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021